სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28641436848911

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულება/მინდობილობა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი:

: # 111139634

რეგისტრაციის თარიღი:

19 ოქტომბერი, 2011 წ.

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე
მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული,
0102 ქ. თბილისი, საქართველო,
ტელ/ფაქსი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–შემოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას თერთმეტი წლის ცხრამეტ ოქტომბერს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ბატონმა **კობა გილაშვილმა** (დაბადებული 28.08.1966 წ. პირადი # 01011002998. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, წერნაქის შესახვევი #7).

მან განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს „ბანი 2007"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 03/12/2007 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №206316388, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ნავთლუღის ქ. №41) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით;

ბ) როგორც **შპს „ბანი 2007"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 03/12/2007 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №206316388, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ნავთლუღის ქ. №41) დირექტორს, სურს, სპეციალური უფლებამოსილება მიანიჭოს **დავით მახარაშვილს** (დაბადებული 07.09.1957 წ. მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. #48, ბინა #90, პირადი №01007015782),

კობა გილაშვილმა მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე **კობა გილაშვილის** უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ბანი 2007"-ის შესახებ (ამონაწერის მომზადების თარიღი: 30/09/2011 17:41:12);

ბ) შპს „ბანი 2007"-ის წესდება (დამოწმებული ნოტარიუს ლალი კანდელაკის მიერ 30.11.2007 წ, რეესტრში რეგისტრაციის #1-6619.

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

„კობა გილაშვილმა (დაბადებული 28.08.1966 წ. პირადი # 01011002998, რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, წერნაქის შესახვევი #7), როგორც **შპს „ბანი 2007"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 03/12/2007 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №206316388, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ნავთლუღის ქ. №41) დირექტორმა, **დავით მახარაშვილს** (დაბადებული 07.09.1957 წ. მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. #48, ბინა #90, პირადი №01007015782), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც 'რწმუნებული", მიანიჭა **შპს „ბანი 2007"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 03/12/2007 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №206316388, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ნავთლუღის ქ. №41) (რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც 'მარწმუნებელი") სპეციალური უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

1. რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს **შპს „ბანი 2007"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 03/12/2007 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: №206316388, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ნავთლუღის ქ. №41) დირექტორის

სრული უფლებამოსილება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მათ შორის, განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) დადოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება, მათ შორის, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, უძრავი ქონების ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, საკუთრების მინდობის (მართვისა და/ან განკარგვის უფლებით) ხელშეკრულება, ნარდობის ხელშეკრულება, მომსახურების ხელშეკრულება, იპოთეკისა და სხვაგვარი უზრუნველყოფის ხელშეკრულება - როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთიანად, განსაზღვროს ამ გარიგებათა პირობები, შეასრულოს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს ამ გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებით;

ბ) დააფუძნოს კომერციული იურიდიული პირები, განსაზღვროს დაფუძნების ყველა პირობა (მათ შორის, პარტნიორთა წრე, საწესდებო კაპიტალი, საწესდებო კაპიტალის შევსების წესი, მართვის წესი და სხვა);

გ) ვალდებულებებით (იპოთეკა, გირავნობა და სხვა) დატვირთოს შპს „ბანი 2007"-ის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება, უზრუნველყოს შპს „ბანი 2007"-ის საკუთრებაში არსებული ფართების რეგისტრაცია (ე. წ. „განშლა" - მშენებარე და/ან დასრულებული ფართების რეგისტრაცია ინდივიდუალიზებულ ფართებად) თავისი შეხედულებისამებრ, გააერთიანოს და/ან გაყოს არსებული ფართები (ბინები და არასაცხოვრებელი ფართები) და მიწის ნაკვეთები...), მართოს და განკარგოს ეს ფართები და კომპანიის სხვა უფლებები და ვალდებულებები.

დ) გახსნა და დახუროს, მართოს და განკარგოს მარწმუნებლის საბანკო ანგარიშები და შეასრულოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მიიღოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის ინფორმაცია/დოკუმენტი საბანკო ოპერაციების შესახებ;

ე) შეასრულოს საგადასახადო უფლება-მოვალეობები, განაბაჟოს მარწმუნებლის საქონელი და წარმართოს ურთიერთობა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციასთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით;

ვ) მარწმუნებელი წარმოადგინოს სასამართლოში ყველა უფლებით (საქმის მორიგებით დასრულების, სასამართლოს ყველა აქტის გასაჩივრებისა და საქმის ზემდგომ ინსტანციაში საქმის წარმოების, სარჩელის აღიარების/ცნობის, სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრის უფლებისა და ნებისმიერი საპროცესო უფლების ჩათვლით).

2. ზემოთ მითითებული უფლებამოსილების ჩამოთვლას აქვს სანიმუშო და არა ამომწურავი ხასიათი. შესაბამისად, რწმუნებული უფლებამოსილია, მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და ამ უფლებამოსილების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა სხვა უფლებამოსილება, რაც მინიჭებული აქვს მარწმუნებლის დირექტორს მარწმუნებლის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით, დადოს სხვა ნებისმიერი გარიგება, განსაზღვროს მათი შინაარსი, მიიღოს სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილება და შეასრულოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რაც აქ არ არის მითითებული, მაგრამ აუცილებელი იქნება ზემოთ მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

3. რწმუნებული ვალდებულია, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს პირადად. ამასთანავე, რწმუნებულს აქვს უფლება, წინამდებარე აქტით მინიჭებული უ ფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ცალკეული მოქმედებების შესასრულებლად დაიქირავოს ადვოკატი, ან სხვა სპეციალისტი და მათ მიანიჭოს შესაბამისი უფლებამოსილება.

4. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

5. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში და ძალმოსილია მის გაუქმებამდე. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

6. რწმუნებული ვალდებულია უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე მარწმუნებელს დაუბრუნოს ყველა ის დოკუმენტი, რაც შეადგინა (მოიპოვა, მიიღო) წინამდებარე აქტის საფუძველზე.

7. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმებისთანავე."

აქტის ეგზემპლარები

წინამდებარე აქტი შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.

დანართები:

I. წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის დანართი შემდეგი დოკუმენტი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ბანი 2007"-ის შესახებ (ამონაწერის მომზადების თარიღი: 30/09/2011 17:41:12).

II. წინამდებარე აქტში მითითებული შემდეგი დოკუმენტი ინახება ჩემს სანოტარო არქივში:

1) შპს „ბანი 2007"-ის წესდება (დამოწმებული ნოტარიუს ლალი კანდელაკის მიერ 30.11.2007 წ, რეესტრში რეგისტრაციის №1-6619 (თან ერთვის სანოტარო აქტს, დამოწმებული 20.06.2011 წ. რეგისტრირებული რეესტრში: #110623745).

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ კანონის (№1417 IIს, 1998 წლის 11 ივნისი) 29-ე და 31(პრიმ) მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 10,0 ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2,0 ლარი;

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებლის წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 370989
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11142231
ამონაწერის მომზადების თარიღი: 30/09/2011 17:41:12

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბანი 2007
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ნავთლუღის ქ., №41
საიდენტიფიკაციო კოდი:	206316388
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	03/12/2007
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ისანი-სამგორის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01011002998, კობა გილაშვილი,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01011009555, ინესა გილაშვილი,	100.00000000%	206316388-SH-00001

ვალდებულება/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

